მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

## მწვანე ალტერნატივას მიმართვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

## შპს „ყაზბეგი ჰესის“ მიერ ხდის ხეობაში დაგეგმილი ჰესის პროექტის შესახებ გამოქვეყნებული განცხადების თაობაზე

17 ივლისი, 2013

გაზეთის „24 საათი“ ა.წ. 9 ივლისის #125 გამოცემაში გამოქვეყნდა შპს „ყაზბეგი ჰესის“ ადმინისტრაციის განცხადება ყაზბეგი ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე.

განცხადების თანახმად, საჯარო განხილვა 2013 წლის 29 აგვისტოს 14 საათზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება; მანამდე კი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება, განცხადების თანახმად, უნდა ჰქონოდათ: დარიალის ხეობაში შპს „ყაზბეგი ჰესის“ ოფისში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში და შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში. იმავე განცხადებით, საზოგადოებისაგან მოსაზრებების წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2013 წლის 24 აგვისტოს 18 საათი.

მოგახსენებთ, რომ განცხადების გამოქვეყნების დღიდან (9 ივლისიდან) უშედეგოდ ვცდილობთ განსახილველი დოკუმენტის მოპოვებას. როგორც „გამა კონსალტინგში“ განგვიმარტეს, კომპანიას განცხადების გამოქვეყნების დღიდან აქვს ერთკვირიანი ვადა დოკუმენტის ელექტრონული ვერსიის სამინისტროსთვის წარსადგენად და შესაბამისად, საზოგადოებისთვისაც დოკუმენტის ელექტრონული ვერსია მხოლოდ სამინისტროს ვებ-გვერდიდან გახდებოდა ხელმისაწვდომი; თუმცა, როგორც გაირკვა „გამა კონსალტინგში“ არც დოკუმენტის დაბეჭდილი ვერსია მოიპოვებოდა. გზშ ანგარიშის ელექტრონული ვერსიის მოპოვება მოლოდ გუშინ, 16 ივლისს შევძელით, „გამა კონსალტინგში“ პირადი კონტაქტების გამოყენებით. ყურადსაღებია, ასევე, რომ ყაზბეგი ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არ არის წარდგენილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, განთავსებულია, თუ არა დოკუმენტი დარიალის ხეობაში, მაგრამ გაცხადებაში მითითებულ ორ მისამართზე დოკუმენტის არარსებობის გათვალისწინებით, შენიშვნების წარდგენის ვადად 24 აგვისტოს, ხოლო განხილვის თარიღად 29 აგვისტოს დანიშვნა, კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევაა.

ამასთან, გსურს თქვენი ყურადღება მივაპყროთ თავად განხილვის თარიღზე – 29 აგვისტოზე. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ხევის მაცხოვრებელთათვის რელიგიური დღესასწაული მარიამობა, რომელიც 28 აგვისტოს აღინიშნება; მომდევნო დღე, 29 აგვისტო კი, გარდაცვლილთათვის

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

პატივის მიგების ტრადიციული შეკრებებით აღინიშნება. კომპანია, რომელიც გეგმავს ყაზბეგი ჰესის მშენებლობას ხევში, უკვე არაერთი წელია ოპერირებს ამ რეგიონში და შეუძლებელია, არ იცნობდეს რეგიონის ტრადიციების ამ თავისებურებას. ამდენად, პროექტისადმი ამ დრომდე გამოხატული საზოგადოებრივი კრიტიკის გათვალისწინებით, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ საჯარო განხილვის 29 აგვისტოს დანიშვნა გამიზნულია იმაზე, რომ საჯარო განხილვაში მონაწილეობა მიიღოს რაც შეიძლება ნაკლებმა დაინტერესებულმა პირმა.

გთხოვთ, აღნიშნულთან დაკავშირებით მიიღოთ შესაბამისი ზომები.